ხაშურის მოამბე

№38 (239) 7 ოქტომბერი, ორშაბათი, 2019 წელი

- მთავრობის სხდომა -

ქვეყნის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტი, უახლოეს დღეებში, პარლამენტს წარედგინება

2020 წლის ბიუჯეტი არის სახელმწიფოს სოციალური პასუხისმგებლობით გამსჭვალული და ეკონომიკური განვითარების ბიუჯეტი, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ მთავრობის რიგგარეშე სხდომაზე განაცხადა, სადაც 2020 წლის ბიუჯეტი განიხილება.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, საფინანსო დოკუმენტში ასახულია ის ძირითადი პრიორიტეტები, რომელსაც ეყრდნობა მმართველი პოლიტიკური გუნდი. გარდა ამისა, პრემიერის თქმით, ამ ბიუჯეტის ეფექტიან შესრულებაზე

იქნება დამოკიდებული ქვეყნის განვითარება 2020 წელს.

პრემიერ-მინისტრის განცხადებით, 2020 წლის ბიუჯეტი მოქალაქეების საჭიროებებზეა დაყრდნობილი და ის ითვალისწინებს საზოგადოების ყველაზე მნიშვნელოვანი ჯგუფების სოციალურ ინტერესებს.

„გათვალისწინებულია მათ შორის იმ ჯგუფების ინტერესები, რომლებზეც ჩვენი ქვეყნის მომავალი იქნება დამოკიდებული და რა თქმა უნდა, პირველ რიგში, ესენი არიან ბავშვები. რა თქმა უნდა, ასევე არიან ჩვენი პენსიონერები ღვაწლმოსილი მოხუცები, რომლებზეც ზრუნვის უდიდესი ვალდებულება გვაქვს. ასევე, რა თქმა უნდა, ამ ბიუჯეტში განსაკუთრებული ყურადღება იქნება მიქცეული მასწავლებლებზე, ექიმებზე, სამართალდამცველებზე და ჯარისკაცებზე. სწორედ ამიტომ, ამ ბიუჯეტის ძირითადი პრინციპი გახლავთ ჩვენი მოქალაქეების საჭიროებები და ჩვენ ვთვლით, რომ ეს ის სოციალური პასუხისმგებლობაა, რომელიც სახელმწიფომ აუცილებლად უნდა ატაროს", - განაცხადა გიორგი გახარიამ.

პრემიერ-მინისტრის თქმით, 2020 წლის ბიუჯეტზე მუშაობა დღევანდელი საბოლოო განხილვით დასრულდება და პარლამენტს წარედგინება.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

1 ოქტობერს, ადმინისტრაციული სახლის სხდომათა დარბაზში, გაიმართა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ ჯანაშვილი. სხდომაზე, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, საკრებულოს წევრებმა ცვლილებები შეიტანეს საკრებულოს მიერ ადრემიღებულ რამდენიმე დადგენილებასა და განკარგულებაში.

სხდომაზე, საკრებულოს წევრებმა დაამტკიცეს „ხაშურის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის მონიტორინგის, შეფასების, ანგარიშგების სისტემა", რომელიც წარმოადგინა მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის სამსახურის ხელმძღვანელმა კონსტანტინე ფრუიძემ.

სხდომის დასასრულს, დეპუტატებმა მოისმინეს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2019 წლის სამ კვარტალში გაწეული მუშაობის ანგარიში, რომელიც შეფასდა დადებითად (ანგარიში იხილეთ გაზეთის დრევანდელი ნომრის შიდა გვერდებზე).

თანამშრომლობის ხელშეკრულება ობუხოვის მუნიციპალიტეტსა (უკრაინა) და ხაშურის მუნიციპალიტეტს (საქართველო) შორის

28 სექტემბერი, 2019 წელი, ხაშური

გვსურს რა, დამყარდეს მეგობრული ურთიერთობები ხაშურის მუნიციპალიტეტსა და ობუხოვის მუნიციპალიტეტს შორის, მხედველობაში ვიღებთ რა ორივე მუნიციპალიტეტის მცხოვრებთა ინტერესს, უკეთ იცნობდნენ ერთ-

მანეთს, ისევე როგორც მათ ღრმა რწმენას, რომ ორი ხალხის მეგობრობის გაღრმავება და განვითარება ხელს შეუწყობს მშვიდობისა და ურთიერთგაგების დამყარებას, ჩვენ, ორი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები

ქალაქ ობუხოვის მერი ოლექსანდრ ლევჩენკო

და

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი გიორგი გურასპაშვილი

წარმოვადგენთ ჩვენს მუნიციპალიტეტებს და საზეიმოდ ვაცხადებთ ჩვენს სურვილს ორი მუნიციპალიტეტის ურთიერთთანამშრომლობის შესახებ,

ვიმოქმედებთ რა ორ მუნიციპალიტეტს შორის მეგობრული საერთაშორისო ურთიერთობის სულისკვეთებით, ვეცდებით, შევასრულოთ შემდეგი ქმედებები:

ოფიციალური დელეგაციების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა, ნაციონალური მეურნეობის სხვადასხვა დარგების სპეციალისტთა, ბიზნესის სფეროს, ტურისტული ჯგუფების, მოყვარულ ხელოვანთა, სპორტსმენების და სხვა დარგების წარმომადგენელთა გაცვლა;

ძირითადი ინფორმაციის გაცვლა ორი მუნიციპალიტეტის და მათი მოსახლეობის ცხოვრების, ხელისუფლების ორგანოთა საქმიანობის შესახებ, რაც ხელს შეუწყობს ორმხრივი ნაცნობობის განვითარებას, გამოცდილების გაზიარებას საზოგადოებრივი ცხოვრების იმ სფეროებში, როგორიცაა: მუნიციპალური სერვისები, მუნიციპალიტეტის ტერიტორიების მოწყობა, გარემოს დაცვა, ინდუსტრია, ტრანსპორტი, ჯანმრთელობის დაცვა, განათლება, ვაჭრობა, კულტურა, სპორტი, ბიზნესი, სოციალური დაცვა და დასვენების ორგანიზება.

ხელშეკრულება შესრულებულია ქართულ, უკრაინულ და ინგლისურ ენებზე და ხელმოწერილია თითოეულ ენაზე ორ ეგზემპლარად.

ხელშეკრულების თითოეულ ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

ოლექსანდრ ლევჩენკო, ქალაქ ობუხოვის მერი

გიორგი გურასპაშვილი, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი

მოისმინეს მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ანგარიში

საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხებისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიებმა, გაერთიანებულ სხდომაზე, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ანგარიში მოისმინეს მიმდინარე წლის 9 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

ანგარიში სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა ლელა მაჭარაშვილმა წარმოადგინა და პასუხი გასცა საკრებულოს წევრთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

სხდომას სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე დავით გელაშვილი უძღვებოდა.

ანგარიში

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2019 წლის 1 იანვრიდან 30 სექტემბრის ჩათვლით გაწეული სამუშაოების შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახური, როგორც მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობის სრულყოფას, ფინანსების მართვის გაუმჯობესებას, სახსრების, სხვა მატერიალური ფასეულობების ხარჯვისა და გამოყენების კანონიერებას, მიზნობრიობის დაცვასა და ეფექტიანობის გაზრდას.

სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, მერიის დებულების და ფინანსთა სამინისტროს ჰარმონიზაციის დეპარტამენტის - ჰარმონიზაციის ცენტრის - მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიური დოკუმენტების, მეთოდური მითითებების, სტანდარტებისა და სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

სამსახურის საშტატო განრიგი შედგება, სამსახურის ხელმძღვანელის და 2 მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტისაგან.

საანგარიშო პერიოდში შიდა აუდიტის სამსახურმა განახორციელა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების აუდიტორული შემოწმებები, როგორიცაა ა(ა)იპ „სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებების ხაშურის კომპლექსური სასპორტო სკოლა“, ა(ა)იპ „ხაშურის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება“, ა(ა)იპ „ხაშურსერვისი“, ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“, ა(ა)იპ „სავანე“, ა(ა)იპ „სკოლისგარეშე სახელოვნებო დაწესებულების - სამუსიკო სკოლების გაერთიანება“, ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი“, ა(ა)იპ „სამუზეუმო გაერთიანება“ და მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის განყოფილების მიერ განხორციელებული პროექტი.

ზემოთ აღნიშნულ ორგანიზაციებში ჩატარდა ფინანსური და შესაბამისობის აუდიტები გარდა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრისა, რომელშიც ჩატარდა ეფექტიანობის აუდიტი.

საანგარიშო პერიოდში აუდიტორული შემოწმებები წარიმართა შიდა აუდიტის სამსახურის 2018 წლის 28 დეკემბერს დამტკიცებული გეგმის შესაბამისად.

პირველ რიგში შიდა აუდიტის სამსახურის თანამშრომლების მიერ მომზადდა 2018 წლის ანგარიში, რომელიც მიეწოდა ფინანსთა სამინისტროს ჰარმონიზაციის დეპარტამენტს და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს.

ა(ა)იპ „სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებების ხაშურის კომპლექსური სასპორტო სკოლის“ შემოწმების დროს, როგორც წესი მას წინასწარ ეცნობა აუდიტის ჩატარების გადაწყვეტილება, აუდიტის ტიპი, აუდიტის პერიოდი, ვადები და მიზნები, შემსრულებლები. გარდა ამისა ორგანიზაციას წარედგინა აუდიტის ინდივიდუალური გეგმა და ამოცანები.

ხაშურის „სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებების ხაშურის კომპლექსური სასპორტო სკოლის“ ხელმძღვანელობის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემოწმებით დადგინდა: ა(ა)იპ „სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებების ხაშურის კომპლექსურ სასპორტო სკოლას“ დაუმტკიცდა 2018 წლის სპორტულ ღონისძიებათა პროგრამა და ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური აღზრდისა და გაჯანსაღების, ცხოვრების ჯანმრთელი წესის დამკვიდრებისა და განვითარების ხელშეწყობის პროგრამა, საერთო ბიუჯეტით

575 500 ლარი.

ფეხბურთის განვითარების ფონდმა აიღო ვალდებულება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ეგიდით ორგანიზებულ ფეხბურთში საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში საფეხბურთო კლუბ „ივერიისთვის“ 2018 წლის სპორტული ღონისძიებებისა და სხვადასხვა ხარჯების ეტაპობრივად (ცალ-ცალკე) დაფინანსების უზრუნველყოფის შესახებ 50 000 ლარის ოდენობით.

გოგონების ფეხბურთში ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდიდან ჩასარიცხი თანხა ხელშეკრულებით განისაზღვრა 10 000 ლარი.

ორგანიზაციაში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაცია, მათ შორის საშუალო და მაღალ მენეჯერულ პოზიციაზე დასაქმებულთა გამოცდილება და განათლება სრულად აკმაყოფილებს აღნიშნული პერსონალის მიერ ორგანიზაციაში დაკავებულ თანამდებობათა მოთხოვნებს.

ფინანსური ანგარიშგება ძირითადად შედგენილია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, არ შეიცავს დიდ უზუსტობებს და უტყუარად და სამართლიანად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას.

შემოწმებული საანგარიშო პერიოდისათვის, ანგარიშების წარდგენა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიაში ხდება მუდმივად, დადგენილ ვადებში.

საფინანსო ოპერაციების ანალიზმა გვაჩვენა, რომ სააუდიტო პერიოდში საბიუჯეტო თანხების არამიზნობრივ ხარჯვას ადგილი არ ჰქონია. დანახარჯები განხორციელდა პროგრამის ამოცანათა შესასრულებლად გამოწვეული აუცილებლობებით, პროგრამით განსაზღვრულ ფარგლებში.

სასპორტო სკოლის აუდიტორული შემოწმების დროს გამოვლენილია სხვადასხვა გარემოებები, რომელთა გადაჭრისათვის შემუშავდა შემდეგი რეკომენდაციები:

- დაწესებულებამ 2019 წლის 1 აპრილამდე მოაწესრიგოს და შესაბამისობაში მოიყვანოს სამუშაო ადგილზე გამოცხადების და სამუშაო ადგილის დატოვების ჟურნალი საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №449 ბრძანების მოთხოვნებთან, (ბრძანების დანართი №019), რომლის მიხედვითაც თვის ბოლოს ნამუშევარი საათების მიხედვით მოხდება თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება;
- ვინაიდან, დაწესებულებას 2018 წლის საანგარიშო პერიოდში გამარტივებული შესყიდვის წესით დიდი ოდენობით აქვს განხორციელებული შესყიდვები ბაზრის კვლევების გარეშე, შეუძლებელი ხდება გახარჯული თანხების ეფექტიანად გამოყენების დადგენა. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ ორგანიზაციამ შემდგომი შესყიდვები განახორციელოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ბაზრის კვლევების გათვალისწინებით;
- მოსალოდნელი რისკების თავიდან აცილების მიზნით, დაწესებულებამ მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურებთან ერთად, შეიმუშაოს შიდა ინსტრუქცია (წესი), რომლის მიხედვითაც მოხდება წარმომადგენლობითი ხარჯების თანხების ხარჯვა - კერძოდ განისაზღვროს სტუმრების მიღების ფორმა, მათი კატეგორია, გამასპინძლების ეტიკეტი, სტუმრებისა და მასპინძლების ოდენობა, მათი შემადგენლობა, რომელიც შეთანხმებული იქნება დაწესებულების დამფუძნებელთან - მუნიციპალიტეტის მერთან;
- ვინაიდან მუნიციპალიტეტმა დაწესებულებას 2018 წლის 12 დეკემბერს უზუფრუქტის წესით გადასცა იმერეთის ქუჩაზე მდებარე ახლად აშენებული კომპლექსური სასპორტო სკოლა და 2019 წლის 1 იანვრიდან დაწესებულებას დაუმტკიცდა 1 საშტატო ერთეული მნეს სახით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია უმოკლეს დროში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მასზე მოხდეს ა(ა)იპ „კომპლექსური სასპორტო სკოლის“ ქონებაზე მატერიალური პასუხისმგებლობის დაკისრება.

საანგარიშო წელს ჩატარებულ იქნა ა(ა)იპ „ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების - საბავშვო ბაღების გაერთიანების“ აუდიტი. ორგანიზაციას წინასწარ ეცნობა აუდიტის ჩატარების შესახებ და გადაეცა შემოწმების ინდივიდუალური გეგმა. ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილ იქნა ყველა საჭირო დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც შემოწმებულ იქნა მისი ფუნქციონირების ყველა სფერო.

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ნორმალური აღზრდის ხელშეწყობის, მათი ჰარმონიული განვითარების და სკოლისთვის ბავშვთა მომზადების მიზნით ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №135 განკარგულებით დამტკიცდა „ხაშურის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი აღზრდის სფეროში განსახორციელებელი 2018 წლის პროგრამა” საერთო ბიუჯეტით 1 711 100 ლარი, რაც გათვლილი იყო 1990 ბავშვზე, მათ შორის: შრომის ანაზღაურება 897 708 ლარი, საქონელი და მომსახურება 798 392 ლარი, სხვა ხარჯი - 15000 ლარი.

ა(ა)იპ „ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება საბავშვო ბაღების გაერთიანება“, რომელიც მოიცავს შემდეგ სტრუქტურულ ერთეულებს: ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს - №1, №2, №3, №4, №5, №6, №7, №8, №9, №11, №12, №13, №14, №15, №16 საბავშვო ბაღებს და ხუთ ალტერნატიულ სააღმზრდელო ჯგუფს, მათ შორის ხაშურში განთავსებულია №1 - №8 და ღუდის დასახლების №2 საბავშვო ბაღები, დაბა სურამში - №9, სოფელ ცხრამუხაში - №10, სოფელ ალში - №11, სოფელ ოსიაურში - №12, სოფელ გომში - №13, სოფელ ვაყაში - №14, სოფელ ქვიშხეთში №15, სოფელ წრომში №16 საბავშვო ბაღები და ალტერნატიული სააღმზრდელო ჯგუფები სოფლებში: ხცისში, ბიჯნისში, ტეზერში, წაღვლში და ფლევში.

ორგანიზაციაში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაცია, მათ შორის საშუალო და მაღალ მენეჯერულ პოზიციაზე დასაქმებულთა გამოცდილება და განათლება სრულიად აკმაყოფილებს ორგანიზაციაში დაკავებულ თანამდებობათა მოთხოვნებს.

ორგანიზაციის მიერ შესყიდული მატერიალური ფასეულობა იმყოფება ადგილზე და მათი ღირებულება შეესაბამება მათზე გადახდილ ფასს. ინვენტარის გადაცემა მომხდარია მიღება-ჩაბარების აქტებით, რაც დასტურდება აქტებზე ხელმოწერებით.

ფინანსური ანგარიშგება შედგენილია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, არ შეიცავს დიდ უზუსტობებს და უტყუარად და სამართლიანად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას. სააუდიტო პერიოდში ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ გადარიცხული მთლიანი საბიუჯეტო თანხებიდან არამიზნობრივ ხარჯვას ადგილი არ ჰქონია. დანახარჯები განხორციელებულია პროგრამის ამოცანათა შესასრულებლად გამოწვეული აუცილებლობით, პროგრამით განსაზღვრულ ფარგლებში.

ორგანიზაციაში აღმოჩენილი გარემოებების გამოსასწორებლად შემუშავებულ იქნა შემდეგი რეკომენდაციები:

- გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ 2018 წლის საანგარიშო პერიოდში საბავშვო ბაღების გაერთიანების №9 და №14 საბავშვო ბაღებში მონიტორინგის შემდეგ გაცემულ იქნა სხვადასხვა სახის მითითებები, მოსალოდნელი რისკების თავიდან აცილების მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია დაწესებულებამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს გამოვლენილ (შეუსაბამობებს) ნაკლოვანებებს, რათა საბავშვო ბაღებში არ განმეორდეს ანალოგიური შეუსაბამობები დადგენილ მოთხოვნებთან;
- ვინაიდან დაწესებულებაში შემავალ ზოგიერთ საბავშვო ბაღებში დაფიქსირებულია წყლის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების შეუსაბამობები დადგენილ ნორმებთან - დაწესებულების ხელმძღვანელობამ კვლავაც გააგრძელოს მუშაობა „საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №58 დადგენილების -სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ - მოთხოვნების შესასრულებლად;
- მიზანშეწონილად მიგვაჩნია დაწესებულების ხელმძღვანელობამ, საბავშვო ბაღების მენეჯერებთან ერთად მენიუს შედგენის დროს შესაძლებლობის ფარგლებში უზრუნველყოს: ჯანდაცვის სპეციალისტების (ექიმების), ბავშვთა კეთილდღეობაზე ორიენტირებული არასამთავრობო ორგანიზაციების, საბავშვო ბაღების აღსაზრდელთა მშობლების და სხვათა ჩართულობა და გაკეთდეს შესაბამისი დასკვნები მენიუს ხარისხის შესახებ;
- ა(ა) იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრთან ერთად, კვლავაც გაგრძელდეს ღონისძიებები საბავშვო ბაღების აღსაზრდელებზე და მომსახურე პერსონალზე ჰიგიენის და სანიტარული განათლების საკითხების სწავლებასთან დაკავშირებით;
- ვინაიდან დაწესებულების კომუნალური ხარჯების დაფარვა ხდება ა(ა)იპ საბიბლიოთეკო გაერთიანების განვითარების საპროგრამო ხარჯებიდან -დაწესებულების ხელმძღვანელობამ მუნიციპალიტეტის საფინანსო და კულტურის სამსახურებთან ერთად დაიწყონ მუშაობა 2019 წლის კომუნალური ხარჯების გამიჯვნის შესახებ.

საანგარიშო წელს განხორციელდა ა(ა)იპ „ხაშურსერვისი“-ს აუდიტორული შემოწმება. ორგანიზაცია ახორციელებს შემდეგ საქმიანობას:

ა) ხაშურის მუნიციპალიტეტში მდებარე დასახლებული პუნქტების ტერიტორიების შიდა გზების დასუფთავება, განათება და შიდა გზების დაპროფილება;

ბ) დასახლებათა ტერიტორიების, ქუჩების, მოედნების, ტროტუარების, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების დაგვა-დასუფთავება, გათოვლა, საოჯახო-სამეურნეო, საყოფაცხოვრებო, სამრეწველო და სხვა სახის (ნაგავი და გადანაყარი) ნარჩენების დახარისხების, გატანის, შეგროვებისა და ტრანსპორტირების ორგანიზება;

გ) სანაგვე ურნების, კონტეინერების, ნარჩენების განთავსების ადგილების (ნაგავსაყრელების) მოვლა-პატრონობა და ნარჩენების გადასამუშავებლად შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;

დ) ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებათა ტერიტორიების, მაგისტრალების, ქუჩების, გზების, საზოგადოებრივი ადგილების, სკვერების, პარკების, გამწვანებისა და სხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების, ქალაქის განათების სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, გარე განათების ქსელების პროექტირება, რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია და შენობა-ნაგებობების დეკორატიულ-მხატვრული განათება;

ე) სადღესასწაულო და სხვა ღონისძიებების მხატვრულ-დეკორაციული (სადღესასწაულო ილუმინაციები, დეკორაციები, დროშები, ბანერები, სცენები, ფეიერვერკები და ა.შ.) და სხვა საჭირო ატრიბუტიკითა და გახმოვანება-განათებით უზრუნველყოფა;

ვ) ხაშურის მუნიციპალიტეტში საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა და ამ სფეროში მუნიციპალური პროგრამებისა და პროექტების განხორციელება-ხელშეწყობა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №122 განკარგულების საფუძველზე ა(ა)იპ „ხაშურსერვის“-ს დაუმტკიცდა ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებაში ქალაქისა და სოფლის ზონების დასუფთავებისა და სანიტარული ღონისძიებების, დასუფთავების მოსაკრებლის ქვითრების დარიგების მომსახურების, საგზაო ინფრასტრუქტურის, გარე განათების მოვლა-პატრონობის 2018 წლის პროგრამა საერთო ბიუჯეტით 1535200 ლარი. აქედან ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული სახსრებით 1490200 ლარი და საკუთარი შემოსავლები 45000 ლარი, მათ შორის: შრომის ანაზღაურება - 780200 ლარი, საქონელი და მომსახურება 450000 ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 215000 ლარი, დანარჩენი საქონელი და მომსახურება საკუთარი შემოსავლებიდან - 90000 ლარი.

2017 წლის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება №122-ში შევიდა ცვლილება და საკრებულოს 2018 წლის 19 დეკემბრის №133 განკარგულების საფუძველზე, განისაზღვრა „ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში ქალაქისა და სოფლის ზონების დასუფთავებისა და სანიტარული ღონისძიებების, საგზაო ინფრასტრუქტურის, გარე განათების მოვლა-პატრონობის 2018 წლის პროგრამა სულ 1490200 ლარი. აქედან, ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული სახსრებით 1445200 ლარი, საკუთარი შემოსავლები - 45000 ლარი, აქედან: შრომის ანაზღაურება 780000 ლარი, საქონელი და მომსახურება - 450000, მათ შორის: მივლინებები 3000 ლარი, ოფისის ხარჯები - 16000 ლარი, რბილი ინვენტარის, უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები. სხვა დანარჩენი და მომსახურება 215000 ლარი, დანარჩენი საქონელი და მომსახურება საკუთარი შემოსავლებიდან - 45000 ლარი.

პროგრამების (ქვეპროგრამების) დაფინანსება ბიუჯეტიდან მიღებული სახსრებით განისაზღვრა შემდეგნაირად: დასუფთავება და სანიტარული ღონისძიებები - 876000 ლარი, გარე განათებების ღონისძიებები - 274200 ლარი, შიდა გზების მოვლა-პატრონობა 275000 ლარი და წყლის სათავე ნაგებობების ზედამხედველობა - 20000 ლარი.

განისაზღვრა ორგანიზაციის 2018 წლის საკუთარი შემოსავლების და ხარჯების გეგმა 45000 ლარის ოდენობით.

ორგანიზაციაში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაცია, მათ შორის საშუალო და მაღალ მენეჯერულ პოზიციაზე დასაქმებულთა გამოცდილება და განათლება სრულიად აკმაყოფილებს ორგანიზაციაში დაკავებულ თანამდებობათა მოთხოვნებს.

ორგანიზაციის მიერ შესყიდული მატერიალური ფასეულობების შემოწმებით დადგინდა, რომ ყველა მატერიალური ფასეულობა იმყოფება ადგილზე და მათი ღირებულება შეესაბამება მათზე გადახდილ ფასს. ინვენტარის გადაცემა მომხდარია მიღება-ჩაბარების აქტებით, რაც დასტურდება აქტზე ხელმოწერებით.

დაწესებულების შესყიდვების წლიური გეგმა 2018 საანგარიშო წელში შეადგენდა 820777 ლარს, ა(ა)იპ „ხაშურსერვისი“-ს მიერ განხორციელებულმა შესყიდვებმა კი შეადგინა 798961,86 ლარი და 86 თეთრი. მათ შორის: გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელდა 96237,09 ლარი და 9 თეთრის ღირებულების სახელმწიფო შესყიდვა, კონსოლიდირებული შესყიდვის საშუალებით 327194,52 ლარის და 52 თეთრის ღირებულების სახელმწიფო შესყიდვა, ხოლო ელექტრონული ტენდერის საშუალებით 375530,25 ლარის და 25 თეთრის ღირებულების სახელმწიფო შესყიდვა.

2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ორგანიზაციას დებიტორული დავალიანება არ ერიცხებოდა, კრედიტორული დავალიანება კი შეადგენდა 5626,69 ლარს და 69 თეთრს, 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დებიტორულმა დავალიანებამ შეადგინა 0 ლარი, კრედიტორულმა დავალიანებამ კი - 26364,46 ლარი და 46 თეთრი.

ორგანიზაციაში ფინანსური ანგარიშგება შედგენილია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, არ შეიცავს დიდ უზუსტობებს და უტყუარად და სამართლიანად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას.

შემოწმებული საანგარიშო პერიოდისთვის ანგარიშების წარდგენა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიაში ხდება მუდმივად, დადგენილ ვადებში.

სააუდიტო პერიოდში ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ გადარიცხული მთლიანი საბიუჯეტო თანხებიდან არამიზნობრივ ხარჯვას ადგილი არა ჰქონია. დანახარჯები განხორციელებულია პროგრამის ამოცანათა შესასრულებლად გამოწვეული აუცილებლობით, პროგრამით განსაზღვრულ ფარგლებში.

ორგანიზაციის ხარჯებიდან ყველაზე დიდი წილი მოდის საწვავის შეძენაზე, რომლის შეძენაც მოხდენილია ძირითადად კონსოლიდირებული წესით სახელმწიფო ტენდერებში გამარჯვებული კომპანიებიდან, საწვავის შეძენის რეალობა დასტურდება სპეციალური ანგარიშ-ფაქტურებით.

ორგანიზაციის აუდიტორული შემოწმების შედეგად გამოვლენილ იქნა სხვადასხვა გარემოებები, რომელთა გამოსასწორებლად შემუშავებულ იქნა შემდეგი რეკომენდაციები:

- ვინაიდან ორგანიზაციის მფლობელობაში არსებულ ტექნიკის დიდ ნაწილს კვლავ არ გააჩნია გამართული ოდომეტრები და ტექნიკაზე საწვავის ჩამოწერა ხდება ორგანიზაციის თანამშრომლების მიერ ჩატარებული ქრონომეტრაჟებით დადგენილი ხარჯების შესაბამისად, მოსალოდნელი რისკების თავიდან აცილების მიზნით ორგანიზაციას მიეცეს დრო 2019 წლის 1 აგვისტომდე ტექნიკის გამართული ოდომეტრებით აღჭურვის უზრუნველსაყოფად; იმ ტექნიკაზე, რომლებზეც ტექნიკურად შეუძლებელია ოდომეტრების დაყენება, ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ უზრუნველყოს საკუთარი სპეციალისტებით და მერიის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული კომისიის შექმნა, რომელიც წარმოადგენს დასკვნას, სადაც მოყვანილი იქნება არგუმენტირებული დასაბუთება ოდომეტრების დაყენების შეუძლებლობის შესახებ;
- დაწესებულებამ თავისი შემდგომი საქმიანობის დროსაც გააგრძელოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანების „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნების, ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ“ მოთხოვნების შესრულება. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს საკუთარი და მუნიციპალური ქონების დაცვას;
- შემდგომი მუშაობის დროს თავიდან, რომ იქნეს აცილებული მუხლებს შორის თანხების გადატანა, დაწესებულების ხელმძღვანელობამ მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურებთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს დაწესებულების საქმიანობის პროგრამების (ქვეპროგრამების) სწორად დაგეგმვას.

საანგარიშო წელს განხორციელდა ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“-ს აუდიტორული შემოწმება.

ა(ა) იპ გაზეთი „ხაშურის მოამბე“-ს შექმნის ძირითადი მიზნებია: მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული და მიმდინარე სამუშაოების თაობაზე მოსახლეობის ინფორმირების უზრუნველყოფა, მუნიციპალიტეტის კულტურული, სპორტული და სხვა სახის ღონისძიებათა თაობაზე ინფორმაციის განთავსების უზრუნველყოფა, შემოქმედებითი ლიტერატურული საქმიანობის ხელშეწყობა, ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების განთავსება.

თავისი მიზნების განსახორციელებლად არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი კანონით დადგენილი წესით ახორციელებს საგამომცემლო საქმიანობას, ამყარებს პარტნიორულ ურთიერთობებს ადგილობრივ და უცხოურ ორგანიზაციებთან. საქმიანობა, რომელიც შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სპეციალური ლიცენზიის (ნებართვის) საფუძველზე ასეთი საქმიანობის განხორციელების უფლება იურიდიულად წარმოეშობა შესაბამისი ლიცენზიის (ნებართვის) მიღების მომენტიდან.

ხელმძღვანელობის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემოწმებით დადგინდა: ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის განკარგულება №136-ით დამტკიცდა ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთ „ხაშურის მოამბე“-ს ფუნქციონირების 2018 წლის პროგრამა, რომლის საერთო ბიუჯეტი განისაზღვრა 40800 ლარით, მათ შორის შრომის ანაზღაურება 31800 ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება 9000 ლარი.

ორგანიზაციაში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაცია, მათ შორის საშუალო და მაღალ მენეჯერულ პოზიციაზე დასაქმებულთა გამოცდილება და განათლება სრულიად აკმაყოფილებს ორგანიზაციაში დაკავებულ თანამდებობათა მოთხოვნებს.

2018 წლის სანგარიშო წელს ა(ა)იპ გაზეთი „ხაშურის მოამბე“-ს მიერ შესყიდვის წესით შეძენილია 370 ლარის ღირებულების საოფისე კარები 30.11.2018 ხელშეკრულება №10-ს შესაბამისად და 250 ლარის ღირებულების კარადა 30.12.2018. ხელშეკრულება №13-ის შესაბამისად, სულ 620 ლარი.

ფინანსური ანგარიშგება შედგენილია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, არ შეიცავს დიდ უზუსტობებს და უტყუარად და სამართლიანად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას.

სააუდიტო პერიოდში ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ ხაზინიდან გადარიცხული მთლიანი საბიუჯეტო თანხებიდან არამიზნობრივ ხარჯვას ადგილი არა ჰქონია. დანახარჯები განხორციელებულია პროგრამის ამოცანათა შესასრულებლად გამოწვეული აუცილებლობით, პროგრამით განსაზღვრულ ფარგლებში.

ორგანიზაციის მუშაობის გაუმჯობესების მიზნით შიდა აუდიტის სამსახურის მიერ შემუშავდა შემდეგი რეკომენდაციები:

- ვინაიდან დაწესებულება განთავსებულია ხაშურის მუნიციპალიტეტის შენობაში (31 კვ.მ) და არ არსებობს გაფორმებული ხელშეკრულება დაწესებულებასა და მუნიციპალიტეტს შორის, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უმოკლეს დროში გაფორმდეს ხელშეკრულება დაკავებული ფართის უზუფრუქტის წესით გადაცემის შესახებ;
- დაწესებულებამ 2019 წლის 1 აგვისტომდე მოაწესრიგოს და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №449 ბრძანების მოთხოვნებთან (დანართი 019) შესაბამისობაში მოიყვანოს სამუშაო ადგილზე გამოცხადების და სამუშაო ადგილის დატოვების ჟურნალი.

საანგარიშო წელს განხორციელდა ა(ა)იპ „სავანე“-ს აუდიტორული შემოწმება. მისი შექმნის ძირითადი მიზანია ხაშურის მუნიციპალიტეტისათვის კანონმდებლობით დაკისრებული უფლებამოსილების განხორციელების ხელშეწყობა და მოიცავს შემდეგ სფეროებს:

ა) ხაშურის მუნიციპალიტეტში მდებარე დასახლებული პუნქტების ტერიტორიების კეთილმოწყობა და გამწვანება;

ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების - პარკების, ბაღების, სკვერების, მოედნების ყვავილნარების, გაზონების, ქუჩის მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა და შესაბამისი მომსახურების განხორციელება;

გ) ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ადგილობრივი ტყის ფონდის მოვლა პატრონობა და რაციონალური მეურნეობის წარმოება, ამ სფეროში მუნიციპალური პროგრამებისა და პროექტების განხორციელება-ხელშეწყობა;

დ) სანერგეების მოწყობა, ადგილობრივი ტყის ფონდის რესურსების მოვლა, დაცვა, აღდგენა და გამოყენება;

ე) მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ტყის უკანონო ჭრის, მფლობელობის და გამოყენების აღკვეთა;

ვ) ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებათა სკვერების, პარკების და გამწვანების, სხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, პროექტირება, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია. ამ სფეროში მუნიციპალური პროგრამებისა და პროექტების განხორციელება-ხელშეწყობა;

ზ) დასახლებათა სკვერების, გამწვანების ობიექტების დაგვა-დასუფთავება, გათოვლა და მოგროვილი ნაგვისა და გადანაყარის, სხვა ნარჩენების შეგროვება-გატანისა და ტრანსპორტირების ორგანიზება;

თ) გამწვანების ობიექტების მიმდინარე კაპიტალური შეკეთების სამუშაოების ჩატარება, ახალი ობიექტების მშენებლობა;

ი) სანიაღვრე კოლექტორების მიმდინარე და კაპიტალური შეკეთება, ექსპლუატაცია და ახალი მშენებლობების წარმოება;

კ) საკადასტრო-აზომვითი საქმიანობა, საკადასტრო-აზომვითი სამუშაოების წარმოება და საჭირო მომსახურების ორგანიზება;

ლ) ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მსუბუქი სატვირთო ავტოტრანსპორტის პარკირება;

მ) ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კანონმდებლობით დადგენილი წესით ავტოსატრანსპორტო საშუალებების სადღედამისო სადგომების მოწყობა და ექსპლუატაცია;

ნ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობების ჩამოყალიბების ორგანიზება და მათი ფუნქციონირებისათვის ხელშეწყობა;

ო) მრავალსართულიან სახლებში ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა და კომუნალური მომსახურების ცენტრების (სერვისცენტრების) ორგანიზება, ამ სფეროში მუნიციპალური პროგრამებისა და პროექტების განხორციელება-ხელშეწყობა;

პ) ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ტერიტორიების დაგვა-დასუფთავების ორგანიზება და ამ ტერიტორიების სანიტარულ მდგომარეობაზე ზედამხედველობა;

ჟ) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახლისშიგა საინჟინრო კომუნიკაციების მომსახურეობის ორგანიზება;

რ) მრავალბინიან სახლებში სახურავებისა და ლიფტების ექსპლუატაცია და რემონტი, ახალი მშენებლობის წარმოება;

ს) შენობების შიგა და გარე საინჟინრო კომუნიკაციების ავარიული მომსახურების ორგანიზება;

ტ) საკანალიზაციო ქსელის, ჭების შენახვა-მოვლა-პატრონობა და ავარიების სალიკვიდაციო ღონისძიებათა განხორციელება, ნახმარი და ჩამდინარე წყლების მიღება და გაუვნებლობა;

უ) სასმელი წყლის წნევის გამაძლიერებელი კორპუსშიგა სატუმბი დანადგარების მოწყობილობების ექსპლუატაცია და რემონტი;

ფ) სოფლის ტიპის დასახლებებში სასმელი წყლის სათავე ნაგებობებისა და წყალმომარაგების სისტემების ექსპლუატაცია და რემონტი, ახალი მშენებლობების წარმოება;

ქ) ზედამხედველობის მომსახურების განხორციელება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (საცხოვრებელ კორპუსებსა და მათ მიმდებარე ტერიტორიებზე, შიგაკვარტალურ და შიგასაუბნო გზებზე, გამწვანების ზოლებში, მიმდებარე ფერდობებზე, ხევებში და სხვა) არსებულ სანიტარულ მდგომარეობაზე, აგრეთვე მოზარდების სათამაშო მოედნების მოვლა-პატრონობაზე, საცხოვრებელი სახლებისა და სხვა შენობა ნაგებობათა ტექნიკურ მდგომარეობაზე;

ღ) მოსახლეობის და სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციების საინფორმაციო საცნობარო მომსახურების უზრუნველყოფა;

ყ) ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წესდებით გათვალისწინებულ დარგებში მოქალაქეებისთვის, ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის საბინაო-კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურეობის ორგანიზება და მიწოდება;

შ) სასაფლაოების მოვლა-პატრონობისა და სარიტუალო მომსახურეობის ორგანიზება, სასაფლაოების ტერიტორიების კეთილმოწყობის და მოვლა-პატრონობის უზრუნველყოფა და შესაბამისი სარიტუალო მომსახურება;

ჩ) სასაფლაოების კეთილმოწყობისთვის და დაცვისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება, სასაფლაოების ტერიტორიებზე შესაბამისი მიმდინარე და კაპიტალური შეკეთება-რეაბილიტაციის სამუშაოების ჩატარება, ახალი ობიექტების მშენებლობა;

ც) სხვადასხვა სახის სარიტუალო მომსახურების გაწევა და ნებართვის გაცემა;

ძ) მაწანწალა, უპატრონო და უმეთვალყურეო ცხოველების სპეციალიზებული თავშესაფრის, მათი საიზოლაციო ღონისძიებებისა და დერატიზაცია-დეზინფექციის სამუშაოების ჩატარების ორგანიზაციული უზრუნველყოფის, აგრეთვე ცხოველთა ვოლიერების და გადასაყვანი სატრანსპორტო საშუალებების დეზინფექციის სამუშაოების ჩატარების განხორციელება.

გარდა ზემოთმოყვანილი საქმიანობისა, შესაბამისი დავალების ან ხელშეკრულების საფუძველზე, ორგანიზაცია ახორციელებს:

ა) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი ფონდების - საცხოვრებელი სახლების და სხვა შენობა ნაგებობების მოვლა-პატრონობა და დაზიანებების, ცვეთის და სხვა ნაკლოვანებების გამოვლენის მიზნით, საერთო, ნაწილობრივი და რიგგარეშე ტექნიკური დათვალიერების ორგანიზება-ჩატარება;

ბ) განხორციელებული ტექნიკური დათვალიერების შედეგების მიხედვით, საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობების მიმდინარე და კაპიტალური შეკეთების დაგეგმვის, შესაბამისი ხარჯთაღრიცხვებისა და პროექტების მომზადებისა და შეკვეთების ჩატარების მიზნით დამფუძნებლისათვის სათანადო მასალების წარდგენა;

გ) უკანონოდ დაკავებული ადგილობრივი თვითმმართველობის კუთვნილი ფართებიდან, კანონმდებლობის შესაბამისად, გამოსახლების საკითხებზე საჭირო ზომების მიღება.

ა(ა)იპ „სავანე“-ს ხელმძღვანელობის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემოწმებით დადგინდა: ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №121 განკარგულების საფუძველზე ა(ა)იპ „სავანე“-ს დაუმტკიცდა „ხაშურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის ესთეტიკური და უსაფრთხო გარემოს შექმნისა და გაუმჯობესების ხელშეწყობის პროგრამა“ 300000 ლარი.

დაწესებულებას, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნისა და განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, დაუმტკიცდა „მაწანწალა ცხოველების მოვლა-პატრონობისა და მათი პოპულაციების მართვის ხელშეწყობის ქვეპროგრამა 63000 ლარის ოდენობით, მათ შორის: შრომის ანაზღაურებაზე - 47956 ლარი, საქონელი და მომსახურება - 15044 ლარი;

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №123 განკარგულების საფუძველზე ორგანიზაციას, მუნიციპალიტეტის დასახლებაში არსებული სასაფლაოების ტერიტორიის შემოღობვის, მისასვლელი შიგა გზების მოხრეშვის, დასუფთავებისა და ნაგვის გატანის უზრუნველყოფის მიზნით, დაუმტკიცდა „ხაშურის მუნიციპალიტეტში სასაფლაოების მოვლა-პატრონობის უზრუნველყოფისა და სარიტუალო მომსახურეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის პროგრამა“ 54000,0 ლარის ოდენობით, მათ შორის: შრომის ანაზღაურება - 46515 ლარი, საქონელი და მომსახურება - 7485 ლარი.

2017 წლის 15 დეკემბრის №121 განკარგულებაში შევიდა ცვლილება და „ხაშურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის ესთეტიკური და უსაფრთხო გარემოს შექმნისა და გაუმჯობესების ხელშეწყობის პროგრამა“ განისაზღვრა 250000 ლარის ოდენობით და ორგანიზაციის მთლიანმა ხარჯების ჯამმა ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული სახსრებით შეადგინა 367000 ლარი.

განისაზღვრა დაწესებულების 2018 წლის მიზნობრივი შემოსავლების გეგმა 22138,88 ლარი და 88 თეთრი, მთლიანი სამოქმედო პროგრამა (მიზნობრივი შემოსავლების ჩათვლით) 389138,88 ლარი და 88 თეთრი.

ორგანიზაციაში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაცია, მათ შორის საშუალო და მაღალ მენეჯერულ პოზიციაზე დასაქმებულთა გამოცდილება და განათლება სრულიად აკმაყოფილებს ორგანიზაციაში დაკავებულ თანამდებობათა მოთხოვნებს.

დაწესებულების შესყიდვების წლიური გეგმა 2018 წლის სანგარიშო წელს შეადგენდა 147505 ლარს, ა(ა) იპ „სავანე“-ს მიერ განხორციელებულმა შესყიდვებმა კი შეადგინა 103452 ლარი, მათ შორის: გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელდა 56452,88 ლარის და 88 თეთრის ღირებულების სახელმწიფო შესყიდვა, ელექტრონული ტენდერის შესყიდვის საშუალებით 26986 ლარის ღირებულების სახელმწიფო შესყიდვა, კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით 20013,12 ლარის და 12 თეთრის ღირებულების სახელმწიფო შესყიდვა, გადაუდებელი აუცილებლობის გამო სახელმწიფო

ფინანსური ანგარიშგება შედგენილია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, არ შეიცავს დიდ უზუსტობებს და უტყუარად და სამართლიანად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას.

სააუდიტო პერიოდში ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ გადარიცხული მთლიანი საბიუჯეტო თანხებიდან არამიზნობრივ ხარჯვას ადგილი არა ჰქონია. დანახარჯები განხორციელებულია პროგრამის ამოცანათა შესასრულებლად გამოწვეული

აუცილებლობით, პროგრამით განსაზღვრულ ფარგლებში.

დაწესებულების ხარჯებიდან დიდი წილი მოდის საწვავის შეძენაზე, რომლის შეძენაც მოხდენილია ძირითადად კონსოლიდირებული წესით სახელმწიფო ტენდერებში გამარჯვებული კომპანიებიდან, საწვავის შეძენის რეალობა დასტურდება სპეციალური ანგარიშ-ფაქტურებით.

2018 წლის საანგარიშო პერიოდში - საქონელი და მომსახურების, ტრანსპორტის, ტექნიკის და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯების და სხვა დანარჩენი საქონელისა და მომსახურების მუხლებში ადგილი ქონდა დაგეგმილზე მეტი ხარჯების გაწევას.

შიდა აუდიტის სამსახურის თანამშრომლების მიერ შესწავლილ იქნა ა(ა) იპ „სავანეს“ ზოგიერთ თანამშრომელთა მხრიდან დისციპლინის დარღვევის ფაქტები, რომელსაც ადგილი ჰქონდა 2018 წელში.

ა(ა) იპ „სავანეს“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების და საქმესთან კავშირში მყოფი პირების ახსნა-განმარტებების გაანალიზების შედეგად გამოიკვეთა ორგანიზაციის თანამშრომელთა მხრიდან დისციპლინური გადაცდომების ფაქტები, რის გამოც მაწანწალა ცხოველების მოვლა-პატრონობის და დროებითი თავშესაფრის მმართველსა და მძღოლს ა(ა) იპ „სავანეს“ დირექტორის ბრძანებით შეეფარდათ „გაფრთხილება“.

ასევე გამოიკვეთა ორგანიზაციის თანამშრომლების მხრიდან მათი მოვალეობების არასათანადოდ შესრულების ფაქტები, რაც მდგომარეობს ცხოველების სხვადასხვა სახის სამედიცინო მომსახურების საბაზრო ფასების არასრულყოფილად კვლევაში, ფაქტიურად მაწანწალა ცხოველების სამედიცინო მომსახურების ფასების კვლევა ჩატარებული არ იყო, ორგანიზაციამ ვერ წარმოადგინა ბაზრის კვლევის დამადასტურებელი დოკუმენტი, რითაც უნდა განსაზღვრულიყო ცხოველთა სამედიცინო მომსახურების საფასური, ორგანიზაცია რამდენჯერმე გახდა ტელევიზია „თრიალეთის“ კრიტიკული გადაცემის საგანი, გამოთქმული იყო მოსახლეობის მხრიდან კრიტიკული შენიშვნები.

ზემოთთქმულიდან გამომდინარეობს, რომ ა(ა) იპ „სავანეს“ ხელმძღვანელობის მხრიდან სათანადო ყურადღება არ ექცევა თანამშრომელთა საშემსრულებლო დისციპლინას და ცხოველთა მოვლა-პატრონობის და დროებით თავშესაფრის სათანადო მუშაობას, რის გამოც ა(ა) იპ „სავანეს“ ხელმძღვანელობის მიმართ გატარდა დისციპლინური სასჯელის ღონისძიება.

საბოლოოდ შიდა აუდიტის სამსახურის მიერ მომზადებულ იქნა შემდეგი რეკომენდაციები:

- ორგანიზაციამ 2019 წლის 1-ელ აგვისტომდე მოაწესრიგოს და შესაბამისობაში მოიყვანოს სამუშაო ადგილზე გამოცხადების და სამუშაო ადგილის დატოვების ჟურნალი საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №449 ბრძანების მოთხოვნებთან (ბრძანების დანართი № 019);
- განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს დაწესებულების მფლობელობაში არსებულ ტექნიკის ოდომეტრების გამართული მუშაობის საკითხს -ორგანიზაციამ ახალ ხელმძღვანელობასთან ერთად 2019 წლის 1-ელ სექტემბრამდე მოაწესრიგოს ტექნიკის გამართული ოდომეტრებით აღჭურვა;
- ვინაიდან 2018 წლის პერიოდში დაწესებულებაში კვლავაც მოხდენილია მუხლიდან მუხლში თანხების გადატანა და მუხლების მიხედვით თანხების ხარჯვის კორექტირება, დაწესებულების ხელმძღვანელობის და მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურების მიერ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ბიუჯეტისა და ბიუჯეტგარეშე სახსრების ხარჯთა ნუსხის (გეგმების) შედგენას, რათა ზუსტად განისაზღვროს პროგრამების დაფინანსებისა და ხარჯვის ოდენობა;
- მოსალოდნელი რისკების თავიდან აცილების მიზნით დაწესებულებამ თავისი შემდგომი საქმიანობის დროსაც გააგრძელოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანების „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნების, ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ“ მოთხოვნების შესრულება.

განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს საკუთარი და მუნიციპალური ქონების დაცვას და მათ შემდგომ განკარგვას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

- გამომდინარე იქიდან, რომ ორგანიზაციაში გამოიკვეთა გარკვეული ხარვეზები მაწანწალა ცხოველების მოვლა-პატრონობის და დროებითი თავშესაფრის საქმიანობაში, რაც შემდგომში დიდი რისკების მატარებელია, ორგანიზაციის ხელმძღვანელობას ეძლევა რეკომენდაცია, რომ თავიანთი შემდგომი მუშაობის დროს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ აღნიშნულ საკითხს და გაატარონ ყველა შესაძლებელი ღონისძიებები, რაც საქართველოში მოქმედი კანონმდებლობითაა განსაზღვრული, რომ აღნიშნული საქმიანობა მიუახლოვდეს ამ სფეროში არსებულ თანამედროვე სტანდარტების მოთხოვნებს.

განხორციელებულ იქნა ა(ა)იპ „სკოლისგარეშე სახელოვნებო დაწესებულების - სამუსიკო სკოლების გაერთიანების“ აუდიტორული შემოწმება.

დაწესებულების მიზანია:

ა) მისცეს მოსწავლეებს დაწყებითი სამუსიკო განათლება; სწავლების ხანგრძლივობა 6 წელი;

ბ) შეუქმნას მოსწავლეებს პირობები პიროვნების ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდრეკილებების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის;

ხაშურის სამუსიკო სკოლების გაერთიანების ხელმძღვანელობის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემოწმებით დადგინდა: აღნიშნული მიზნების განხორციელებისათვის ხაშურის სამუსიკო სკოლების გაერთიანებას ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის განკარგულება №133-ით დაუმტკიცდა 2018 წლის ბიუჯეტი 193800 ლარი, მათ შორის შრომის ანაზღაურება 171800 ლარი და საქონელი და მომსახურება 22000 ლარი, რომელმაც დაზუსტების შემდეგ შეადგინა 192600 ლარი, მათ შორის შრომის ანაზღაურება 171800 ლარი და საქონელი და მომსახურება 20800 ლარი.

განისაზღვრა დაწესებულების მიზნობრივი შემოსავლების გეგმა 75122 ლარი, მათ შორის შრომის ანაზღაურება 66412 ლარი, საქონელი და მომსახურეობა 6710 ლარი და დაწესებულების მთლიანმა დაზუსტებულმა ხარჯების გეგმამ 2018 სასწავლო წლისათვის შეადგინა 267722 ლარი, მათ შორის შრომის ანაზღაურება 238212 ლარი და საქონელი და მომსახურება 27510 ლარი.

პროგრამის მოსალოდნელ შედეგად დადგინდა-მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ახალგაზრდებისთვის მუსიკალური განათლების მიღება.

განისაზღვრა შეფასების ინდიკატორები: მოსწავლეთათვის მუსიკალური განათლების მიღება, სამუსიკო სკოლების მიერ მოწყობილი ღონისძიებების რაოდენობა, ღონისძიებებში მონაწილე მოსწავლეთა რაოდენობა, მოწვეული სტუმრების რაოდენობა, სხვადასხვა დონის ფესტივალების და კონკურსებში წარმატებების მქონე მოსწავლეთა რაოდენობა.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის განკარგულება №128-ით ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაწესებულებას დაუმტკიცა “ხაშურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლებში დევნილი და სოციალურად დაუცველი მოსწავლეების უფასო მომსახურების 2018 წლის მუნიციპალური პროგრამა.

პროგრამის მიზანია ხაშურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დევნილისა და სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე მოსწავლეებისათვის მუსიკალური განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა.

პროგრამის მოსარგებლე პირთა წრე, ბენეფიციარები - დევნილის სტატუსის მქონე მოსწავლეები და მოსწავლეები იმ ოჯახებიდან, რომელთა რეიტინგი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში არ აღემატება 70000 ქულას.

დადგინდა ბენეფიციართა რაოდენობა - 190 მოსწავლე, ერთი მოსწავლის დაფინანსების თანხა თვეში 12 ლარი, პროგრამის ბიუჯეტი 23000 ლარი.

ორგანიზაციაში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაცია, მათ შორის საშუალო და მაღალ მენეჯერულ პოზიციაზე დასაქმებულთა გამოცდილება და განათლება სრულიად აკმაყოფილებს დაკავებულ თანამდებობათა მოთხოვნებს. ა(ა)იპ „სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებების - სამუსიკო სკოლების გაერთიანების“ საშტატო განრიგით მომუშავეთა რიცხოვნება შეადგენს 85 ადამიანს.

ორგანიზაციის 2018 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა შეადგენდა 12321 ლარს, ფაქტიურად კი განხორციელდა 11503,54 ლარის და 54 თეთრის შესყიდვები.

ფინანსური ანგარიშგება შედგენილია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, არ შეიცავს დიდ უზუსტობებს და უტყუარად და სამართლიანად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას.

შემოწმებული საანგარიშო პერიოდისთვის ანგარიშების წარდგენა ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობაში ხდება მუდმივად, დადგენილ ვადებში.

სააუდიტო პერიოდში ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ გადარიცხული მთლიანი საბიუჯეტო თანხებიდან არამიზნობრივ ხარჯვას ადგილი არა ჰქონია. დანახარჯები განხორციელებულია პროგრამის ამოცანათა შესასრულებლად გამოწვეული

აუცილებლობით, პროგრამით განსაზღვრულ ფარგლებში.

საბოლოოდ შიდა აუდიტის სამსახურის მიერ მომზადებულ იქნა შემდეგი რეკომენდაციები:

- მერიის შესაბამისი სამსახურების და დაწესებულების კომპეტენტური თანამშრომლებისგან შექმნილი კომისიის მიერ 2019 წლის 1 ნოემბრამდე საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად ჩატარდეს დაწესებულების სარგებლობაში არსებული მუნიციპალური (სახელმწიფო) ქონების: შენობა-ნაგებობების (სადაც განთავსებულია დაწესებულების სამუსიკო სკოლები) და სხვა მატერიალური ფასეულობების, მოთხოვნების, ვალდებულებების, სრული ინვენტარიზაცია და კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად მოხდეს მათი შემდგომი განკარგვა;

ვინაიდან დაწესებულებამ საკუთარი შემოსავლების გეგმის შესრულება უზრუნველყო 93 %-ით - დაწესებულების შემოსავლების დაგეგმვასა და შესრულებაზე პასუხისმგებელმა პირებმა შემდგომი მუშაობის დროს გააანალიზონ ადგილობრივი შემოსავლების გეგმის შეუსრულებლობის გამომწვევი მიზეზები და უზრუნველყონ ადგილობრივი შემოსავლების ისეთი დაგეგმარება, რომ მინიმუმამდე იყოს დაყვანილი სხვაობა დაგეგმილ და მიღებულ შემოსავლებს შორის.

განხორციელებულ იქნა ა(ა)იპ „ხაშურის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანების“ აუდიტორული შემოწმება.

ხაშურის სამუზეუმო გაერთიანების ხელმძღვანელობის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემოწმებით დადგინდა: აღნიშნული მიზნების განხორციელებისათვის ხაშურის სამუზეუმო გაერთიანებას ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის განკარგულება №130-ით დაუმტკიცდა 2018 წლის ბიუჯეტი 157000,0 ლარი; მათ შორის შრომის ანაზღაურება 118044,0 ლარი და საქონელი და მომსახურება 388956,0 ლარი, დაწესებულების და მერიის შესაბამის სამსახურებთან ერთად დაწესებულების შემოსავლები და ხარჯები განისაზღვრა შემდეგნაირად: შრომის ანაზღაურება - 118044,0 ლარი, საქონელი და მომსახურება - 31403,0 ლარი, სხვა ხარჯები - 53,0 ლარი და არაფინანსური აქტივების ზრდა - 7500,0 ლარი.

დაწესებულებას განესაზღვრა მიზნობრივი შემოსავლების გეგმა 1855,8 ლარი.

და საბოლოოდ განისაზღვრა დაწესებულების ერთიანი ხარჯების გეგმა: 158855,77 ლარი, მათ შორის შრომის ანაზღაურება - 118544,0 ლარი, საქონელი და მომსახურება - 32669,77 ლარი, სხვა ხარჯები - 53,0 ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა - 7500,0 ლარი და სხვა მიმდინარე ხარჯი - 89,0 ლარი.

მიზნობრივი შემოსავლებისა და ხარჯების გეგმა განისაზღვრა შემდეგნაირად: მიზნობრივი შემოსავლები - 1855,8 ლარი, ხარჯები - შრომის ანაზღაურება -500,0 ლარი, საქონელი და მომსახურება -1266,8 ლარი, სხვა ხარჯები - 89,0 ლარი.

აღნიშნული პროგრამის მოქმედების სფერო ვრცელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის შემდეგ ობიექტებზე: ქ. ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, დაბა სურამის ლესია უკრაინკას მუზეუმი, ქვიშხეთის დ. ყიფიანის სახელობის სახლ-მუზეუმი.

ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა 2018 წლის 12 თვეში გაერთიანებას სუბსიდიის სახით ხაზინიდან ჩარიცხული აქვს 155827,87 ლარი, გახარჯულია პროგრამის ფარგლებში 155827,87 ლარი, გეგმა - 157000,0 ლარი, საანგარიშო წლის დასაწყისისათვის ნაშთი მიზნობრივი შემოსავლებიდან შეადგენდა 1317,05 ლარს, ნაშთი 2019 წლის 1 იანვრისათვის შეადგენს 1443,95 ლარს. ამავე პერიოდში გაერთიანებას მიღებული აქვს შემოსავლები გაწეული მომსახურებისათვის 806,90,0 ლარი, რაც დასტურდება საკასო აპარატის და ბანკის მონაცემებით. შემოსავლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტაციის შემოწმებით და წარმოდგენილ ბუღალტრულ დოკუმენტაციასთან შედარებით სხვაობა არ გამოვლენილა. მიმდინარე 12 თვის მონაცემების მიხედვით ბიუჯეტისა და ბიუჯეტის გარეშე სახსრების საკასო ხარჯმა შეადგინა 156507,87 ლარი. ხარჯვა განხორციელდა შემდეგნაირად: შრომის ანაზღაურება - 118043,95 ლარი, გეგმა -118544,0 ლარი, საქონელი და მომსახურება - 31813,86 ლარი, გეგმა - 32669,77 ლარი, სხვა ხარჯები - 89,0 ლარი, გეგმა - 89,0 ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა - 6517,06 ლარი, გეგმა - 7500,0 ლარი, მოსაკრებლები 44,0 ლარი, გეგმა - 53,0 ლარი. დაწესებულება მოგების გადასახადიდან განთავისუფლებულია.

ორგანიზაციაში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაცია, მათ შორის საშუალო და მაღალ მენეჯერულ პოზიციაზე დასაქმებულთა გამოცდილება და განათლება სრულად აკმაყოფილებს აღნიშნული პერსონალის მიერ ორგანიზაციაში დაკავებულ თანამდებობათა მოთხოვნებს. მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით ა(ა)იპ „სამუზეუმო გაერთიანების “ საშტატო განრიგით მომუშავეთა რიცხოვნება შეადგენს 35 ადამიანს.

ფინანსური ანგარიშგება შედგენილია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, არ შეიცავს დიდ უზუსტობებს და უტყუარად და სამართლიანად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას.

შემოწმებული საანგარიშო პერიოდისთვის ანგარიშების წარდგენა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიაში ხდება მუდმივად, დადგენილ ვადებში.

სააუდიტო პერიოდში ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ გადარიცხული მთლიანი საბიუჯეტო თანხებიდან არამიზნობრივ ხარჯვას ადგილი არა ჰქონია. დანახარჯები განხორციელებულია პროგრამის ამოცანათა შესასრულებლად გამოწვეული აუცილებლობით, პროგრამით განსაზღვრულ ფარგლებში.

საბოლოოდ, შიდა აუდიტის სამსახურის მიერ მომზადებულ იქნა შემდეგი რეკომენდაციები:

- ვინაიდან დაწესებულებას დიდი ოდენობით უწევს სხვადასხვა საქონლის შესყიდვა გამარტივებული წესით და აუდიტის დროს დადგინდა ბაზრის არასათანადო კვლევის ფაქტები, არსებული რისკების თავიდან აცილების მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ხელმძღვანელობამ გამარტივებული შესყიდვების დროს, დადგენილი წესის შესაბამისად უზრუნველყოს ბაზრის უფრო სრულყოფილად კვლევა (შესყიდვების აუცილებლობის ადრეული დაგეგმვა, ინვოისების მოძიება და სხვა);
- დაწესებულების ხელმძღვანელობამ ხელფასზე დანამატების გაცემის დროს უზრუნველყოს დანამატების გაცემის დასაბუთება (პირის მიერ ზეგანაკვეთური სამუშაოს ან/და დამატებითი ფუნქციების შესრულება), რომელიც შეთანხმებულია იქნება დაწესებულების დამფუძნებელთან მუნიციპალიტეტის მერთან;
- მოსალოდნელი რისკების თავიდან აცილების მიზნით, დაწესებულებამ შეიმუშაოს შიდა ინსტრუქცია (წესი), რომლის მიხედვითაც, მოხდება წარმომადგენლობითი ხარჯების თანხების ხარჯვა - კერძოდ განისაზღვროს სტუმრების მიღების ფორმა, მათი კატეგორია, გამასპინძლების ეტიკეტი, სტუმრებისა და მასპინძლების ოდენობა, მათი შემადგენლობა, რომელიც შეთანხმებული იქნება დაწესებულების დამფუძნებელთან მუნიციპალიტეტის მერთან;
- ვინაიდან 2018 წლის პერიოდშიც დაწესებულებაში კვლავაც ხდებოდა მუხლიდან მუხლში თანხების გადატანა და მუხლების მიხედვით თანხების კორექტირება, დაწესებულების ხელმძღვანელობამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს ბიუჯეტისა და ბიუჯეტგარეშე სახსრების ხარჯთანუსხის (გეგმების) შედგენას, რათა ზუსტად განისაზღვროს პროგრამის დაფინანსების და ხარჯვის ოდენობა მუხლების მიხედვით;
- დაწესებულებამ თავისი შემდგომი საქმიანობის დროსაც გააგრძელოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანების „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნების, ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ“ მოთხოვნების შესრულება;
- ვინაიდან დაწესებულებამ არ უზრუნველყო ჩვენს მიერ გაცემული რეკომენდაციის შესრულება დაწესებულების სახანძრო ინვენტარით უზრუნველყოფის შესახებ, მიეცეს რეკომენდაცია რათა დაწესებულება უმოკლეს ვადაში უზრუნველყოფილი იქნეს სახანძრო ინვენტარით და გაკეთდეს შესაბამისი საევაკუაციო გეგმები.

საანგარიშო წელს განხორციელდა ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის“ ეფექტიანობის აუდიტი. ამჟამად მიმდინარეობს სამსახურის თანამშრომელთა მუშაობა აუდიტის ანგარიშზე, აგრეთვე პარალელურად სამსახურის თანამშრომლები ახორციელებენ ხაშურის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის განყოფილების მიერ განხორციელებული პროექტის აუდიტორულ შემოწმებას.

მევლუდ კიკაძე

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის

შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელის

მოვალეობის შემსრულებელი

– განათლება –

ტრენინგი პედაგოგებისათვის

პროექტის ფარგლებში „ისწავლე და გამოცადე აქტიური მოქალაქეობა-სკოლებისა და თემების დაკავშირება" საჯარო სკოლების დირექტორე-

ბისა და მასწავლებლებისთვის ტრენინგი გაიმართა. ტრენინგს უძღვებოდა პროექტის პარტნიორი პოლონური ორგანიზაცია Eudkator-ის წარმომადგენელი მაუენა რაფალსკა, რომელიც ასევე გახლავთ ვროსაბჭოს საერთაშორისო ექსპერტ-ტრენერი განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების შესახებ განათლების სფეროში და ასევე გაეროს ბავშვთა ფონდის საერთაშორისო კონსულტანტი. ტრენინგის მიზანი იყო დემოკრატიული სამოქალაქო აღზრდის და ადამიანის უფლებების სფეროში განათლების ხელშეწყობისთვის მასწავლებელთა კომპეტენციების გაძლიერება, „მთლიანი სკოლის მიდგომის" შინაარსისა და მნიშვნელობის გაცნობა, ასევე კომპეტენტური მიდგომების გამოყენებით პროექტების შექმნის უნარების განვითარება, რომელიც „ვსაუბრობ თავისუფლად, ვსწავლობ უსაფრთხოდ" კამპანიის მიზნების რეალიზაციას შეუწყობს ხელს.

პროექტი დაფინანსებულია ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდის მიერ.

-ფეხბურთი -

საღიანდაგო სამმართველოს გუნდმა ჩემპიონის ტიტული დაიცვა

24-26 სექტემბერს. ს.ს "საქართველოს რკინიგზა"-ს პროფესიული კავშირის და მისი თავმჯდომარის გელა გელაშვილის ორგანიზებით, რკინიგზის სამსახურებს შორის გაიმართა სამმართველოს ჩემპიონატის რეგიონული ტურნირი მინი ფეხბურთში.

ტურნირის ორგანიზებულად ჩატარებაში დიდი წვლილი მიუძღვით აგრეთვეპროფკავშირის გამგეობის მთავარ სპეციალისტს ირაკლი ჯაყელს, ხაშურის რეგიონებში პროფკავშირის გამგეობის წარმომადგენელ მილერ ლომიძეს, რკინიგზის სამსახურების ხელმძღვანელებს, პროფკავშირების პირველადი ორგანიზაციების თავმჯდომარეებს, სასპორტო სკოლის დირექტორს ივანე ხარაზიშვილს და ამავე სკოლის სპეციალისტს იური ნოზაძეს.

ჯგუფური სისტემით წარმართულ ტურნირში თითოეულ გუნდს 3 თამაშის ჩატარება მოუწია. ტურნირის ისტორიაში, ზედიზედ მეექვსედ პირველობა არავის დაუთმო სალიანდაგო სამმართველოს გუნდმა "უღელტეხილმა". მეორე ადგილზე სალოკომოტივო დეპოს, ხოლო მესამეზე-რკინიგზის სადგურის გუნდები გავიდნენ.

გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ თასით, მედლებითა და დიპლომებით. პირველ ადგილზე გასული გუნდი მონაწილეობას მიიღებს საქართველოს ჩემპიონატის რესპუბლიკურ ტურნირში.

ჩემპიონების შემადგენლობა ასეთი იყო: გიორგი ბეროზაშვილი, გიორგი ბაბლიძე, ირაკლი იჩქიტიძე, ანზორ მჭედლიძე, გიორგი გოგოლაძე, ჯაბა ჩადუნელი(კაპიტანი), იმედა მეტრეველი(მოთამაშე მწვრთნელი), პაპუნა რევაზიშვილი, რევაზ ჭარხალაშვილი, კობა მჭედლიშვილი

ვულოცავთ უღელტეხილის სალიანდაგო სამმართველოს ფეხბურთელებს ამ გამარჯვებას და წარმატებას ვუსურვებთ მომავალშიც.

იმედა მეტრეველი,
ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი, რკინიგზის
პროფესიული კავშირის უღელტეხილის სალიანდაგო სამმართველოს
პირველადი ორგანიზაციის თავმჯდომარე

ხაშურში ფოტოსტუდია "Sunny Studio"გაიხსნა

სტუდიის დამფუძნებელმა და ფოტოგრაფმა მარიამ მამულაშვილმა, გადაწყვიტა, საკუთარი მრავალწლიანი გამოცდილებით მოხიბლოს და მიიზიდოს მომხმარებელი:

–საკმაოდ დიდი, რვაწლიანი გამოცდილება მაქვს ამ სფეროში, ვმუშაობდი არაერთ ჟურნალში, მოდის კვირეულებზე. მომხმარებლებს შევთავაზებ მრავალფეროვან ფოტომომსახურებას, შეუძლიათ მოვიდნენ და ჩვენ დავახვედრებთ დეკორაციასაც, ტანსაცმელსაც და ყველა აქსესუარს,საჭიროა მხოლოდ წინასწარ შეთანხმება. ყველა ასაკობრივ კატეგორიას მოვემსახურებით, მათი გემოვნების გათვალისწინებით, შეუძლიათ დაგეგმონ როგორც საოჯახო, ასევე საქორწილო ფოტოსესია. რაც შეეხება ფასებს, ვეცადეთ ხაშურისთვის მოგვერგო და შესაბამიად, მისაღები გაგვეხადა-გვექნება სხვადასხვა ტიპის აქციები. ვართ რამდენიმე მეგობარი, რომლებიც ვაპირებთ, რომ ეტაპობრივად განვვითარდეთ, დიდი იმედი გვაქვს, რომ ჩვენი მომსახურებით კმაყოფილი დარჩება მომხმარებელი.



D სამადლობელი წერილი

ვცხოვრობ სოფელ ნაბახტევში, ვარ პენსიონერი, 87 წლის. ამ ასაკამდე ისე მოვედი, არაფერს შევუწუხებივარ.. უეცრად შემექმნა ჯანმრთელობის პრობლემა, სასწრაფო დახმარების მანქანამ „გორმედის" ხაშურის საავადმყოფოში გადამიყვანა, მწვავე ფილტვების ანთებით. ამ საავადმყოფოს არსებობის შესახებ არც კი ვიცოდი, კმაყოფილებას ვერ ვმალავ იქ შექმნილი მდგომარეობით, ექიმების ყურადღებით. ექიმები, გიორგი ქელეხსაშვილი და მანანა ბუხრიკიძე ყურადღებას არ იშურებენ პაციენტების მიმართ, რაც აისახა ჩემს ჯანმრთელობაზეც, ექვს დღეში გამოჯანმრთელებული დავბრუნდი სახლში, რაც მთელი მედ.პერსონალის დამსახურებაა. თქვენი გაზეთის საშუალებით, მინდა ჩემი ღრმა პატივისცემა და მადლიერება გამოვხატო თითოეული მათგანისადმი, დიდხანს ყოფილიყვნენ ჩვენი ჯანმრთელობის სადარაჯოზე.

სონია მჭედლიძე

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.